



თეა ლომაძე
მე, ქვემო და კოტე

რედაქტორი: ეკა ბერიშვილი
ილუსტრატორი: ნანა მელქაძე
სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-889-0

www.diogene.ge

თეა ლომაძე

ის,

ერთო და პოტკ




- რას წერ? – მეკითხება კოტე.
- გამოცდისთვის ვემზადები, – ღიმილით ვპასუხობ.
- ამდენი გამოცდა აღარ გამიგია...
- რა ვქნა, კოტე, სკოლას ვამთავრებ.
- კიდევ როდის დარჩები ჩვენთან?
- მალე, ორ-სამ დღეში.

კოტე სამზარეულოში გადის და ახლა იქიდან მესმის:

- მოდის და სულ რაღაცას წერს, ჩვენ აღარ გველაპარაკება.
- აცადე, იმეცადინოს, – ამშვიდებს ქეთო.
- ქეთო! წიგნების კარადას აშკარად რაღაც აკლია, შენ გაატანდი ვინმეს...

ქეთო უარობს, ხელი არ მიხლია შენი წიგნებისთვისო. ნამცხვრის სუნი ტრიალებს. სინამდვილეში, კოტე, გამოცდა არაფერ შუაშია – თქვენზე ვწერ. ვაღვიძებ ყველა ძველ ემოციას, ფიქრს, ვწერ ჩვენზე და ამისათვის ზუსტად აქ, ამ ოთახში ყოფნა მჭირდება.



მე, ქეთო და კოტე

უცნაური კაცია კოტე, ცხოვრების საკუთარი წესები და მეთოდები აქვს. ერთხელ დამარიგა, ზოგჯერ საკუთარ თავს და სიტუაციას გვერდიდან უნდა შეხედო, როგორც მაყურებელმა სპექტაკლს. უნდა შეხედო ირონიულად, ღი-მილით, როგორც კომედიას, უნდა გაგეცინოს საკუთარ თავზე და მერე ყველაფერი გამარტივდებაო. ბოლოს და ბოლოს, იმან, მთავარმა, ხომ თქვა, ცხოვრება თეატრიაო. მთავარი შექსპირიაო, – დააყოლა. ეს რომ მითხრა, უკვე ძალიან ახლობლები ვიყავით, უკვე თვითონ იყო ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი ადამიანი და დავუჯერე. დავუჯერე და ბევრჯერ გამომადგა ცხოვრებაში. ვფიქრობ, როგორ დავ-წერო ჩემი ამბავი მარტივად, ამიტომ ახლაც ვცდი ხოლმე კოტეს მეთოდს. მგონი, ბევრი არაფერი შეიცვლება, მაგ-

რამ მაინც... ვიცი, თავიდან ნამდვილად ვერ გავიცინებ, მერე – ვნახოთ...

მე ელენე ვარ და ეს ამბავი იწყება „ბავშვსრავუყოთი“.

*

– ბავშვს რა ვუყოთ? – იკითხა ერთმა ქალმა და სამივე მომაჩერდა.

ბავშვი მე ვიყავი. იქვე, სკამზე ვიჯექი. შეიძლება არ მეტყობოდა, მაგრამ შეგნიდან ერთიანად ვცახცახებდი, ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი. ოთახი და ეს ქალებიც ნისლში ჩაძირულიყვნენ. ალბათ მაინც მეტყობოდა... თან ხმაური იყო, თან – სიჩუმე. სიჩუმე როგორ იქნებოდა, ქუჩიდან ჯერ კიდევ ისმოდა სასწრაფოს კივილი. ხმაური იყო, საათიც უჩვეულოდ ხმამაღლა წიკწიკებდა. ბავშვს რა ვუყოთ, ბავშვს რა ვუყოთ... გაიმეორეს კედლებმა, საათმა, კარადამ.

– ვინმე ნათესავს შევატყობინოთ, მარტო ხომ არ იქნება. რა გქვია? – ჩემკენ დაიხარა ერთ-ერთი და თავზე ხელი გადამისვა.

გამაჟრიალა, არ ვუპასუხე, ლაპარაკის თავი არ მქონდა. თვალებს არ ვუჯერებდი: კარადა მომდგომოდა და თავში ჩაქუჩის მირტყამდა, კედელი კი ფერებს იცვლიდა. თვალებს ვახამხამებდი, ფართოდ ვახელდი, მაგრამ არა-

ფერი არ იცვლებოდა, იმავე სურათს ვხედავდი. გატეხილი ამპულებით და შპრიცებით მოფენილი მაგიდაც დაიძრა და ჩემკენ მოჩოჩავდა.

— ელენე ჰქვია, — ჩამესმა, — ჩემთან გავიყვან, გვიანია, ნურავის ნუ შევაწუხებთ, — სათვალიანი ქალი იყო.

ხმის ამოღება არ მინდოდა, კბილებს მაგრად ვაჭერდი ერთმანეთს, ტკივილამდე.

— წავიდეთ, წავიდეთ, — თქვა ქალმა და აყენება დამიპირა.

აქ პირველად ვცადე, მათთვის რამე მეთქვა, მაგრამ პირი რომ გავაღე, ენა დამება. შეწუხებული სახეებით მომაჩერდნენ.

— არაფერია, ახლა დაგაწვენ და დაისვენებ, — დამიყვავა სათვალიანმა ქალმა, ხელი ჩამავლო და თითქმის ძალით წამიყვანა კარისკენ. ფეხებს ძლივს მივაჩანჩალებდი. მივიხედე, დივანი და სავარძელი წაგრძელდნენ, გამოიწელნენ და უკან ამედევნენ. გამოვედით, დანარჩენი ორი ქალი კიბეს აუყვა, ჩვენ მოპირდაპირე ბინა შევაღეთ.

ახალგამომცხვარი ნამცხვრის სუნი იდგა. კორიდორში ჭალარა, ხელჯოხიანი კაცი გამოვიდა.

— ქეთო, რა ხდება? — იკითხა.

— არაფერი, მერე მოგიყვები...

ქალმა უფრო მაგრად ჩამჭიდა ხელი და საძინებელში შემიყვანა. იქ სკამზე დამსვა, თვითონ კარადას ეცა და

თეთრეულის გამოცვლა დაიწყო. კაცი იდგა და გაოცებული გვიყურებდა.

— კოტე, შენ პატარა ოთახში დაწვები! — უბრძანა ქალმა, — ელენე ჩემთან დაიძინებს, — ლოგინი გაშალა და მომიბრუნდა:

— ჩაის დაგალევინებ, ხომ გინდა?

თავი გავაქნიე.

— კი, მაგრამ, რა ხდება, ვინაა, აქ რატომ უნდა დაიძინოს? — ისევ იკითხა კაცმა.

— კოტე! — საყვედურით შეხედა ქალმა, მერე კი სამაგალითოდ ტკბილად მოაყოლა, — ელენე ამაღამ ჩვენთან დარჩება, ბებიამისი ცუდად გახდა, სასწრაფომ საავადმყოფოში წაიყვანა, მაგრამ, არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, — და თვალით ანიშნა, გადიო.

ჰო, ქეთო იყო ეს ქალი. გამახსენდა, ხანდახან გემრიელი სადილი შემოჰქონდა ჩვენთან, ბებიას ელაპარაკებოდა. ბებია აქებდა, კარგი ქალიაო, მე კი მხოლოდ ერთი-ორჯერ მომეკრა თვალი.

— მოდი, დაწექი, — თბილად გამიღიმა. არც გავნძრეულვარ. მაშინ მოვიდა, პატარა ბავშვივით გამხადა და ლოგინში ჩამაწვინა. თოჯინასავით ვიწექი, გაშეშებული. ცოტა ხნით საწოლზე ჩამომიჯდა, — ოღონდ შენ არ ინერვიულო, ნახავ, რა კარგად იქნება ყველაფერიო. საბანი გამისწორა, პატარა ბრა ანთებული დამიტოვა და გავიდა. ფრთხი-

ლად გაიხურა კარი, ბოლო წამს კიდევ მითხრა, ყველა-ფერი კარგად იქნებაო. გავლიზიანდი. ამ ქალს, ეტყობა, ისე პატარა ვგონივარ, საკმარისია, მითხრას, ყველაფერი კარგად იქნებაო, რომ მე დავიჯერებ.

საწოლი ფანჯარასთან იდგა, გადავბრუნდი და აქ პირ-ველად დავინახე ჩემი ფარდა. საოცრება იყო, მუქი მწვანე, ხვეული ყლორტებით მოხატული, თითქოს ლივლივებდა, ღელავდა. ხანდახან მანქანის ფარები მიანათებდა და სი-ნათლე ტალღებივით დაუვლიდა. მივჩერებოდი მოჯადოე-ბულივით.

თურმე ყველაფერი კარგად იქნება...

*

ამ კორპუსში მე და ბებია მარტო ვცხოვრობდით, ნა-ქირავებ ბინაში. დედა წასულია... უკვე ერთი წელი ხდება, რაც საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. მანამდე, უფრო ადრე, წამოგვყარა მშობლიური პატარა ქალაქიდან, ჩვენი სახლი გაყიდა და დედაქალაქში გადმოგვასახლა, რაღაც საქმე უნდა წამოვიწყოო. ბინა იყიდა, იქვე, ახლოს, სკო-ლაში გადმომიყვანა და პატარა მაღაზიაც გახსნა. თავიდან კმაყოფილი იყო, იმედიანად აწყობდა გეგმებს. მაგრამ მე-რე და მერე ყველაფერი აირია, საქმე გართულდა, ვალი დაედო და ბინა ვალის გასასტუმრებლად გაყიდა. ბებია



სულ საყვედურობდა, ცდილობდა, გადაეფიქრებინა, მაგრამ დედა ძალიან ჯიუტი იყო, ამქვეყნად ყველაზე ჯიუტი. ეს ბინა იქირავა, გადმოგვიყვანა, დაგვაბინავა და წავიდა კიდეც. მალე ჩამოვალ, ნახავთ, რა მალე გაირბენს დროო, – გვარწმუნებდა. პატარა ბინის საყიდელ თანხას დავაგროვებ და მაშინვე ჩამოვალ, – მეუბნებოდა და თავისი უჩვეულო, მოიისფრო თვალებით, სხვას რომ არავის ჰქონდა, მეხვეწებოდა, დამიჯერეო. არ უნდა გამეშვა, უნდა მეტირა, ისტერიკები მომენტო, კარის ზღურბლზე გავწოლიყავი. მე კი რა ვქენი? ტირილი საერთოდ არ მეხერხება, მგონი, აღუობის მერე არც მიტირია, მოწოლილი ცრემლები უკან ჩავიბრუნე და ხელიც დავუქნიე.

არც მალე ჩამოსულა და დროც ძალიან ნელა მიიზღაბინებოდა.

ქეთო ფეხაკრეფით შემოვიდა, ფრთხილად დამხედა. პატარა ჭიქა მომანოდა, ვალერიანის ნაყენი დალიეო. დავლიე, საზიზღარი გემო ჰქონდა. მადლობის თქმა მინდოდა, მაგრამ გეგონება პირზე კლიტე დამადესო, ვერ ვთქვი, შევეცადე გამეღიმა. დასაძინებლად გვერდით მომიწვა. ზურგით ვიწექი და ისევ ფარდას მივშტერებოდი. ნაზად დამიწყო თმაზე მოფერება. ნეტა, ხელი გამიშვას, ნეტა, ხელი გამიშვას. თითქოს მიხვდა, თავი დამანება. რა უზრდელი ვარ, მადლობა მაინც მეთქვა წესიერად. ხელში ჩაბლუჯულ ტელეფონს ბოლოჯერ დავხედე და თავთან,

ტუმბოზე დავდე. ფარდას ისევ ალივლივებდა მანქანის ფარები.

დილას თვალი რომ გავახილე, წამით, სულ ერთი ბედ-ნიერი წამით, აღარ მახსოვდა წინა დღის ამბები. ფარდა სხვა, უფრო ღია ფერის დამხვდა, მაგრამ ისევ ჯადოსნუ-რად ელვარებდა. გაბრუებული ვიყავი, თავში ჩარტყმუ-ლივით. ფრთხილად ავდექი და საძინებლიდან გავედი. სამზარეულოდან ჭურჭლის რაკარუკი ისმოდა. ფეხაკრე-ფით შევიპარე ტუალეტში და ჩუმად მივიკეტე კარი. სარ-კეში საკუთარ თავს მივაჩერდი, არეული სახე მქონდა, გაბურძგნილი თმა და დასიებული ტუჩები. რას ჰგავხარ, შე საცოდავო, – ვთქვი ხმამაღლა... ვერა, ვერ ვთქვი, ენა მებმებოდა ყოველ სიტყვაზე. კიდევ ვცადე, ახლა სხვა სიტყვები, მაგრამ უშედეგოდ, ვერ ვლაპარაკობდი. ჩა-მოვჯექი გაოგნებული. ვერ ვიტირე. დავმუნჯდი, დედა! კარგა ხანს ვიჯექი, მერე პირი დავიბანე და გავედი სამ-ზარეულოში.

ქალი ჩაის ასხამდა, კაციც იქვე იჯდა და საუზმობდა.

– კოტე, რატომ არ ესალმები ზედა მეზობელს?
– იმიტომ, რომ წარამარა წყალს გვიშვებს და ეს სულ
არ აწუხებს.

– არ შეიძლება ასე, სალამი ღვთისააო არ გაგიგია?
– მე ათეისტი ვარ.

დავდექი, ავიწურე კარში.

– ელენე, რა ადრე ამდგარხარ, დაჯექი, ვისაუზმოთ, –
გაიხარა ქეთომ.

თვალებში მივაჩერდი და ხელებით ვანიშნე, ვერ ვლა-
პარაკობ-მეთქი.

– რა მოგივიდა? – მკითხა ძალიან ჩუმად, დაიბნა.

– არ ვიცი, ვერ ვლაპარაკობ, – ისევ ხელებით ავუხსე-
ნი. აბა სცადეო, არა-მეთქი, თავი გავაქნიე. აღარ მინდო-
და, საკუთარი ხმის გაგონების მეშინოდა.

კაცი ხან ერთს მოგვჩერებოდა, ხან მეორეს.

– რა ხდება, მუნჯია? – იკითხა.

ქეთომ მკაცრად გადახედა. მოდი, ისაუზმე და საავად-
მყოფოში წავიდეთ ბებიასთანო, – მშვიდად მითხრა. იქვე
ფურცელი და პასტა დავინახე. დავწერე და ვაჩვენე, – რო-
გორ წამოვიდე, გაგიუდება, ასეთი რომ მნახოს-მეთქი. პა-
ლატაში მაინც არ შეგვიშვებენო, – დამარწმუნა. ჩაი და
კექსი დამიდგა წინ. კექსი საოცრად გემრიელი იყო. ეტყო-
ბა, სახეზე დამეტყო, კაცმა მითხრა, ეს ქეთოს ჯადოსნუ-
რი ნამცხვარია, რეცეპტს არავის უმხელსო. მიყურა, მიყუ-
რა და უცებ, ჩემი ცხოვრების მტანჯველი კითხვა დამისვა:

– მამაშენი სადაა?

არ მყავს-მეთქი, – ხელებით ვაჩვენე.

– ისიც წავიდა? – შენუხებული სახით მკითხა.

კი გამიჭირდა, მაგრამ თავი მოვაბი: „არ მინახავს არას-
დროს, ჩემს დაბადებამდე დაღუპულა“. დაწერა ბევრად

უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე წარმოთქმა. ქეთოს ნაწერში არც ჩაუხედავს, იჯდა და გამგმირავი მზერით მისჩერებოდა კოტეს. იმანაც თითქოს დაირცხვინა.

საავადმყოფოში წავედით. ქეთო მართალი აღმოჩნდა, პალატაში არ შეგვიშვეს. მინის კარიდან დავენახე ბებიას. ვითომ მხიარულად დავუქნიე ხელი და გავულიმე. ის კი იწვა, საწოლზე უღონოდ მისვენებული, ათას მილში გახლართული. თავსაც ვერ სწევდა, მომჩერებოდა საცოდავად, შეშინებული თვალებით. ვუგზავნე ჰაეროვანი კოცნები. მღელვარებისგან სახე მებრიცებოდა, ვცდილობდი, არ შეემჩნია. ქეთო ექიმებს ელაპარაკებოდა, მერე მტაცა ხელი და მატარა დერეფნებში. მივყვებოდი მორჩილად. ოღონდ ნუ მეხება, ოღონდ ხელი გამიშვას, ჩემით ვივლი. თითქოს იგრძნო და გამიშვა. მომატარა ორი ექიმი. გამსინჯეს, დამალაპარაკეს, ერთ სიტყვასაც ვერ ვამბობდი გამართულად. მრცხვენოდა ყველასი. „სტრესი, სტრესი, ძლიერი სტრესი“ – მესმოდა.


– ელენე, გაგივლის, დროებითია! – შემომცინა ქეთომ, – ბებიას კი ცოტა დიდხანს მოუწევს სავადმყოფოში ყოფნა, – მითხრა მობოდიშებით, თითქოს მისი ბრალი იყო. წამოიღო ფურცელზე ჩამოწერილი ჩემი დანიშნულება, ჩამავლო ხელი და წამომიყვანა. ნეტა, ხელი გამიშვას, ნეტა, ხელი გამიშვას. გამიშვა.

ქეთო და კოტე ფურცელს ჩასცეროდნენ. წამლების ჩამონათვალს მოსდევდა ხაზგასმული სიტყვა – „ფსიქოლოგი“.



... 02.08.

1. Schnur 2m 1/2..
2. Zutten 3m 3X per
- 3 mm
- 4 glatt in mm gr



– შენს ფსიქოლოგთან წავიყვან, აქვეა, უარს არ მეტ-
ყვის, – უთხრა ქეთომ კოტეს, მერე მომიბრუნდა:

– გინდა, ცალკე ოთახში გადაგაწვინო?

თავი დავუქნიე. გამიშალა საწოლი პატარა, მყუდრო
ოთახში. გავიხედოთ და, კიბე გამოიტანა, აძვრა და იმ
მწვანე ფარდის ჩამოხსნა დაიწყო. დაბნეული ვადევნებ-
დი თვალს. მოხსნა და სადაც უნდა დამეძინა, იქ დამიკი-
და.

– რა ხდება, ქეთო? – იკითხა კოტემ. არაფერიო, ეს
ფარდა ძალიან მოსწონს ელენესო, – ღიმილით მიუგო ქე-
თომ. დავრჩი გაკვირვებული, რანაირი ქალია, როგორ მიხ-
ვდა?

დავწექი და მივაჩერდი ჩემს ფარდას...

*

დედა რომ წავიდა, თავიდან იშვიათად გვაწვდენდა
ხმას. მერე სამსახური იშოვა და ყოველ მესამე დღეს, დათ-
ქმულ დროს, ინტერნეტით გვიკავშირდებოდა. მხიარულად
გვექანებოდა, ვიღლები, მაგრამ ვუძლებო. ყველაფერს
წვრილ-წვრილად გვეკითხებოდა, მალე ჩამოვალო, – წა-
რამარა გვიმეორებდა. ჯერ ფულის გამოგზავნა დაიწყო
ჩვენი ყოველდღიური ხარჯებისთვის, მერე ამანათებიც
მოაყოლა. ლამაზი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საუკეთესო

ლეპტოპი და მობილური ჩემთვის. განა მინდოდა? სულაც არ მჭირდებოდა. არ მინდოდა, დედა! იქნებ დარწმუნებული იყო, რომ მინდოდა? ძალიან კი ვიწონებდი თავს უახლესი ტელეფონით და მოდური ტყავის კედებით, მაგრამ უმაგისოდაც მშვენივრად ვიქნებოდი. თუ დედა გამოჩენას დააგვიანებდა, გული გვისკდებოდა, იმიტომ, რომ ვიცოდით, არალეგალი იყო და ქუჩაში შემხვედრ ყველა პოლიციელს ემალებოდა.

ჩვენ ცუდად არ ვცხოვრობდით, ერთმანეთს ვუვლიდით და ვართობდით. აქ ახლობლები არ გვყავდა და ბებია ცოტა კი იწყენდა. ვსეირნობდით, თეატრსა და კინოში დავდიოდით. მერე ბებიამ ავადმყოფობას მოუხშირა, ერთიორჯერ სასწრაფოც გამომაძახებინა. მინდოდა დედასთვის მეთქვა, მაგრამ ნებას არ მრთავდა, ტყუილად გაუხეთქავ გულს, აცადე, მოათავოს თავისი საქმეო. მე კი, ჩემს ყოჩალ, ენერგიულ ბებიას ასე შეცვლილს რომ ვხედავდი, ძალიან მეშინოდა. ბოლო დროს ვცდილობდი, მარტო არ დამეტოვებინა. თავი დავანებე ყველგან სიარულს, სკოლიდან კისრისტებით მოვრბოდი სახლში. და ამედევნა შიში... მეშინოდა ყველგან და ყოველთვის: სკოლაში, ქუჩაში, მაღაზიაში, ძილშიც... მეჩვენებოდა, რომ შიში ადამიანივით სულ უკან მომყვებოდა, ერთ ნაბიჯში და ერთხელაც მხარზე ხელს ჩამომადებდა. იქნებ დედასაც ასე ეშინოდა იქ, უცხო ქვეყნის უცხო ქალაქის ქუჩებში.

ერთხელ დედამ გამოგვიცხადა, გადავწყვიტე, მე-ზობელ ქვეყანაში გადავიდე, იქ უფრო კარგი სამსახუ-რი იშოვებაო. ეხვენა ბებია, იყავი, სადაც ხარ, ხომ უკვე მიეჩვიე მაქაურობას, რატომ ხარ მოუსვენარიო, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. დაგვემშვიდობა დედა მხიარულად. ბებია კი ბრაზობდა, ეს რა ჯიუტი, ქვა და რკინა შვილი გავზიარდე, არასდროს არაფერს არ მიჯერებსო. ძლივს დავამშვიდე, ვეფერე, ვკოცნე და დავემუქრე, მეც არ და-გიჯერებ, აღარ დავმალავ, წარამარა ცუდად რომ ხდები და შემდეგ ჯერზე დედას ყველაფერს მოვუყვები-მეთქი, მაგრამ... მას შემდეგ დედას აღარ დაურეკავს. არც – მე-სამე, არც – მეოთხე დღეს, მეათე დღეს ჩემი დაბადების დღე იყო და დედამ ისევ არ დარეკა. მაშინ დამჩემდა მობილურის ხელიდან არგაგდება. სულ თან მქონდა, წა-რამარა ჩავცექეროდი, რამე ხომ არ მომწერა-მეთქი. რამ-დენჯერაც დაიწყაპუნებდა, ბებიაც იმედიანიად მომაჩერ-დებოდა ხოლმე.

და მერე ბებია მართლა ძალიან ცუდად გახდა. ძლივს მოასწრო, ეთქვა, ელენე, სასწრაფო გამომიძახეო და გო-ნება დაკარგა. არ მახსოვს, როგორ დავრეკე სასწრაფოში, არც მეზობელი ქალების შემოსვლა მახსოვს...

ჰოდა, ვიწექი ახლა აქ და უცხო ფარდას ვაკვირდებო-დი. ფოთლების ბურუსში ლურჯი ზოლი დაიკლაკნებოდა, მდინარეს ჰგავდა. ერთ ფილმში ნანახი კადრი გამახსენდა